საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 15 00776751

11/08/2015

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
ელ. ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 28 ივლისის №266 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N743060; 29.07.15) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების, ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2015-2016 სასწავლო წლისათვის ,,მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში იგეგმება 1 952 075 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდათორმეტი ათას სამოცდათხუთმეტი) ერთეული სახელმძღვანელოსა და რვეულის შეძენა (73 627 სახელმძღვანელო და 1 878 448 რვეული). 73 627 სასკოლო სახელმძღვანელოდან: 41 844 - შპს „მვპ“; 31 783 ინგლისური ენის სახელმძღვანელო - შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“, შპს „unique learning”. 1 878 448 რვეულიდან: 375 463 - შპს „მვპ“; 24 385 გერმანული ენის რვეული/ტესტების რვეული - შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“; 67 779 ინგლისური ენის რვეული - შპს „unique learning”; 410 821 ინგლისური ენის რვეული - შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“.

ამასთან, ელ. ფოსტაზე (n.vakhtangashvili@factcheck.ge) გიგზავნით ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების ბეჭდვა და შესყიდვა იგეგმება 2014 - 2015 სასწავლო წლისათვის (სახელმძღვანელოს დასახელების, შესაბამისი კლასების, რაოდენობის, ღირებულების, გამომცემლობების მითითებით).

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)
ნინო გაბრიელაშვილი